

დადგენილება N23/2020 საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს „კულტურის ხელშეწყობის პროგრამის“ ფარგლებში (ქვეპროგრამა ორიენტირი) გამოცხადებულ კონკურსზე „სამუსიკო განათლების უმაღლესი რგოლისთვის სასწავლო რესურსის/ების შექმნა (ნებისმიერი სპეციალობით) შემოსული საპროექტო განაცხადების შიდასაკონსერვატორიო შეფასება/შერჩევის შესახებ

დადგენილება №23/2020

27 აპრილი, 2020

დადგენილება N23/2020 საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს „კულტურის ხელშეწყობის პროგრამის“ ფარგლებში (ქვეპროგრამა ორიენტირი) გამოცხადებულ კონკურსზე „სამუსიკო განათლების უმაღლესი რგოლისთვის სასწავლო რესურსის/ების შექმნა (ნებისმიერი სპეციალობით) შემოსული საპროექტო განაცხადების შიდასაკონსერვატორიო შეფასება/შერჩევის შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 51-ე მუხლის პირველი ნაწილის, 52-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილების, 53-ე მუხლის პირველი და მესამე ნაწილების, 54-ე მუხლის პირველი ნაწილის, 55-ე მუხლის, 56-ე მუხლის მე-3 ნაწილის, 57-ე მუხლის, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის 2014 წლის 07 ივლისის N05/90 ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის წესდების“ მე-8 მუხლის პირველი ნაწილის „წ“ ქვეპუნქტის, კონსერვატორიაში საპროექტო განაცხადის შერჩევის წესის მე-7 მუხლის მე-2 პუნქტით, აკადემიური საბჭოს 2020 წლის 27 აპრილის N15 სხდომის ოქმის საფუძველზე,

აკადემიური საბჭო ადგენს:

1. საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს „კულტურის ხელშეწყობის პროგრამის“ ფარგლებში (ქვეპროგრამა ორიენტირი) გამოცხადებულ კონკურსზე „სამუსიკო განათლების უმაღლესი რგოლისთვის სასწავლო რესურსის/ების შექმნა (ნებისმიერი სპეციალობით) უარი ეთქვა თამარ კობახიძის მიერ შემოსულ საპროექტო განაცხადს „მუსიკის გამომსახველობითი ხელოვნება“ შერჩევაზე.
2. დადგენილება განთავსდეს კონსერვატორიის ვებგვერდზე www.tsc.edu.ge

3. წინამდებარე დადგენილება დაინტერესებული პირის მიერ შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით ძალაში შესვლის დღიდან 1 თვის ვადაში ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი, №6).
4. დადგენილება ძალაში შედის მიღებისთანავე.

ნანა შარიქაძე

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე

